

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის

ოქმი N7

ქ.თბილისი

15 თებერვალი, 2022 წელი
16⁰⁰საათი

საკრებულოს სხდომას ესწრებოდნენ:

საკრებულოს თავმჯდომარე: გიორგი ტყემალაძე

საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე: გიორგი ახვლედიანი

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე: ზურაბ აბაშიძე

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე: თინათინ ნიბლოშვილი

საკრებულოს წევრები:

ლევან აბაშიძე	აკაკი ალადაშვილი
ლევან არველაძე	ვლადიმერ ბოჟაძე
საბა ბუაძე	ანა გოგოლაძე
ოთარ გრიგოლია	შოთა გრიგოლია
მამუკა გუგეშაშვილი	ლევან დავითაშვილი
ირაკლი ებგვერაძე	ნინო ვარდოსანიძე
კონსტანტინე ზარნაძე	მარიამ ზაქარიაშვილი
ზაზა თავაძე	ანა კაკაბაძე
მიხეილ კაკაურიძე	ნიკოლოზ კახეთელიძე
ნინო კვიციანიშვილი	სალომე კობალაძე
ცოტნე კობერიძე	კახაბერ ლაბუჩიძე
ლილე ლიპარტელიანი	ირაკლი ნადირაძე
შალვა ოგბაიძე	გიორგი ონიანი
გურამ ოქროპირიძე	ალექსანდრე რატიშვილი
ნინო რუხაძე	რევაზ სოხაძე
ვახტანგ სურგულაძე	დავით ფარცვანია
გიორგი შარაშიძე	გიორგი ჩაკვეტაძე
ზურაბ ჩიკვილაძე	გივი ჩხარტიშვილი
ავთანდილ ცინცაძე	ირაკლი ხელაძე
ალექსანდრე ხუჯაძე	ლევან ჯაფარიძე
სოფიო ჯაფარიძე	ბარბარა ჯიმელი სულაშვილი

საკრებულოს სხდომას ასევე ესწრებოდნენ:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსი გაიოზ თალაკვაძე;

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს წარმომადგენელი მარიამ კვერნაძე;

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტიძე;

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე დავით ჯაიანი;

შპს „თბილსერვის ჯგუფის“ წარმომადგენელი ბექა გოგილიძე.

საკრებულოს სხდომა გახსნა საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვამდე განცხადებები გააკეთეს საკრებულოს წევრებმა.

გიორგი ონიანმა აღნიშნა, რომ 2022 წლის 8 თებერვალს, საკრებულოს ფრაქციამ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“, კანონმდებლობის მოთხოვნების სრული დაცვით, საკრებულოში დაიბარა ქალაქის მერის პირველი მოადგილე (ვიცე-მერი) ირაკლი ხმალაძე და თბილისის მუნიციპალური ინსპექციის უფროსი კახა გულედანი, რასაც მოჰყვა საზოგადოების შეცდომაში შეყვანის მცდელობა, რომ თითქოს, ხსენებულ პროცედურას წინ უნდა უძღვოდეს საკრებულოს რომელიმე კომისიაზე საკითხის განხილვა, რაც კანონმდებლობით გათვალისწინებული არ არის და საკრებულოს ფრაქციას ნებისმიერ დროს აქვს უფლება დაიბაროს ის თანამდებობის პირი, რომლის თანამდებობაზე დამტკიცებასაც სჭირდება საკრებულოს თანხმობა. სამწუხაროდ, თბილისის მერმა, ვიცე-მერმა და კახა გულედანმა მოახდინეს საკრებულოს სრული უგულვებელყოფა, რაც, მისი თქმით, არის არა გიორგი ონიანის ან „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ფრაქციის რომელიმე წევრის, არამედ, საკრებულოს, როგორც ინსტიტუტის შეურაცხყოფა და მიმართა საკრებულოს თავმჯდომარეს დააფიქსიროს პოზიცია აღნიშნულთან დაკავშირებით და მომავალში მზად იყოს დაიცვას საკრებულოს ინტერესები.

გიორგი ტყემალაძემ აღნიშნა, რომ, რა თქმა უნდა, საკრებულოს ნებისმიერ ფრაქციას უფლება აქვს ფრაქციის სხდომაზე მოიწვიოს და არა დაიბაროს თბილისის მთავრობის რომელიმე წევრი. ამ შემთხვევაში, ძალიან მნიშვნელოვანია განწყობა და ამიტომ, უმჯობესი იქნება საკუთარ თავებში შევცვალოთ ეს განწყობა. მისი თქმით, ქალაქის მთავრობის მხრიდან არის, როგორც ვალდებულება, ასევე, მზაობა შედგეს თანამშრომლობა და ყველა კითხვას გაეცეს პასუხი. თუმცა, უმჯობესი იქნება, ერთობლივად მოხდეს საკითხების იდენტიფიცირება და შესაბამისი დარგობრივი კომისიების სხდომის ფორმატში განხილვა, რაც იქნება უფრო საქმიანი, შედეგიანი და ამასთანავე, ნაკლებად პოლიტიზირებული.

თინათინ ნიბლოშვილმა აღნიშნა, რომ დედაქალაქის მერიამ გადაწყვიტა, გაფანტული სკლეროზის დიაგნოზის მქონე მოქალაქეებს და იმ ბენეფიციარებს, რომლებიც ჩართული არიან ძვირადღირებული მედიკამენტებით მკურნალობის პროგრამაში, დაუფინანსოს ზურგის ტვინის, თავის და ხერხემლის კომპიუტერული ტომოგრაფია, რაც ძალიან დიდი შვება იქნება ჩვენი თანამოქალაქეებისთვის. ასევე, მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება იქნა მიღებული, რომ დედაქალაქის მერიის მიერ დაფინანსებულ პროგრამებში ჩაერთვება აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე კიდევ უფრო მეტი ბავშვი და ამ მიმართულებით არსებული ბიუჯეტი გაზრდილია 12-ჯერ. მისი თქმით, ასევე, მნიშვნელოვანია ის, რომ 2018 წლიდან დღემდე, ოცდაათობმეტმა ჩვენმა თანამოქალაქემ ისარგებლა ღვიძლის გადანერგვის ოპერაციის ნაწილობრივი ან სრული დაფინანსებით. თინათინ ნიბლოშვილმა განაცხადა, რომ ოპოზიციონერი კოლეგები ძალიან ხშირად არიან სხვადასხვა სატელევიზიო ეთერში, სადაც საუბრობენ იმაზე, რომ დედაქალაქის მერია არაფერს აკეთებს ჯანდაცვის პროგრამების გასაუმჯობესებლად, თუმცა, არასდროს აღნიშნავენ, თუ რამდენად გაზრდილია ბიუჯეტი ამ მიმართულებით და მიმართა მათ: „იქნებ, ეთერებიდან, ერთხელ მაინც გასაუბრათ იმ ოცდარვა პროგრამაზე, რომელსაც დედაქალაქის მერია ამ მიმართულებით აფინანსებს. იქნებ, თქვენი ამომრჩეველი გისმენთ და სწორედ თქვენგან, იმ წუთას, უნდა გაიგოს იმ პროგრამის შესახებ, რომელიც მას ესაჭიროება. ის ისტერია, რომელსაც თქვენ, სამწუხაროდ, ტელეეთერებიდან აჟღერებთ, ხაზს უსვამს და ემსახურება სიცრუის ტირაჟირებას და ჩვენი თანამოქალაქეების სიცრუეში შეყვანას, იმას, თითქოს არაფერი კეთდება დედაქალაქში ამ მიმართულებით“. მისი თქმით, „ჩვენს დედაქალაქს სჭირდება სინერგია და არა ისტერია“ და საკრებულოს წევრებმა უნდა გადაწყვიტონ, რა უნდათ - აკეთონ საქმე თუ დარჩნენ რიგით არაფრისმკეთებელ საკრებულოს წევრებად.

წინო კვიტიანიშვილი გამოეხმაურა თინათინ ნიბლოშვილის განცხადებას, აღნიშნა, რომ გიორგი ონიანმა მერიის მაღალჩინოსნების საკრებულოში დაბარების საკითხზე ისაუბრა სწორედ იმის გამო, რომ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლებს სურთ საქმის კეთება ჩვენი ქალაქის მაცხოვრებლების უკეთესი ყოფისთვის და მიმართა მას: „ჩვენ არ გვაქვს ისტერია ეთერებში, ჩვენ გვაქვს ძალიან სერიოზული კრიტიკა ხელისუფლების მიმართ. კრიტიკა თუ დღეს ისტერიად აღიქმება, ეს მხოლოდ აღქმის საკითხია“. მან აქვე, აღნიშნა, რომ, თანამშრომლობა არის ორმხრივი და არ შეიძლება ადამიანებს მიაყენო შეურაცხყოფა და ამავდროულად, ისაუბრო კონსტრუქციულობაზე. როდესაც ფრაქცია შეხვედრაზე იწვევს მერიის ნებისმიერ მაღალჩინოსანს და აქვს კონკრეტული კითხვები, რომლებზე პასუხებიც აინტერესებს არა საკრებულოს ოპოზიციონერ წევრებს, არამედ თბილისის მოსახლეობას, მერიის სამსახურების წარმომადგენლები უნდა მობრძანდნენ ფრაქციის სხდომაზე და პასუხი გასცენ დასმულ შეკითხვებს. წინო კვიტიანიშვილმა განაცხადა, რომ ფრაქციის გადასაწყვეტია, ამა თუ იმ თანამდებობის პირს მოიწვევს ფრაქციის სხდომაზე თუ კომისიის სხდომაზე და მიმართა საკრებულოს თავმჯდომარეს: „კეთილი რჩევები, ამ შემთხვევაში, უპრიანი იქნებოდა თქვენი გუნდის მიმართ, რომელიც გადმოდის შეურაცხყოფაზე, ხოლო ჩვენი მისამართით კეთილი რჩევები, ამ ეტაპზე, ნამდვილად არ გვჭირდება“.

ცოტნე კობერიძე გამოეხმაურა თინათინ ნიბლოშვილის განცხადებას და აღნიშნა, რომ ვერავინ იტყვის, რომ, როდესმე, რომელიმე სატელევიზიო ეთერიდან მისგან მოისმინა ტყუილი და მზად არის ნებისმიერ ტელევიზიაში და ნებისმიერ ფორმატში დაამტკიცოს თავის სიმართლე. აქვე, განაცხადა, რომ დარწმუნებულია, არც მის ოპოზიციონერ კოლეგებს დაეზარებათ საკუთარი ხედვების წარმოდგენა ტელეეთერიდან.

ვახტანგ სურგულაძემ განაცხადა, რომ მისთვის გაუგებარია თინათინ ნიბლოშვილის გამოსვლა, რადგან ყოველთვის ცდილობს იყოს კონსტრუქციული. მისი თქმით, ძალიან კარგია, რომ ჯანდაცვის მიმართულებით გაიზარდა დაფინანსება, თუმცა დღეს საკრებულოში შემოვიდა აუტისტური სპექტრის დარღვევის მქონე სამი წლის ბავშვის მშობლის განცხადება, რომელსაც მერიაში უთხრეს, რომ მისი შვილი მომლოდინეთა სიაში არის 147-ე და პროგრამით სარგებლობისთვის დასჭირდება წელიწადნახევარი ან ორი წელი. ვახტანგ სურგულაძემ აქვე აღნიშნა, რომ საკრებულოს ოპოზიციონერი წევრები ყოველთვის ცდილობენ დახმარებას, ტელევიზიაში გამოსვლისას, არასდროს არიან „შარზე“ და აქედან გამომდინარე, თინათინ ნიბლოშვილის გამოსვლა ყოველად მიუღებელია და არანაირ კონტექსტში არ ჯდება.

ანა კაკაბაძემ განაცხადა, რომ დღეს ჯანდაცვის მიმართულებით არსებული პროგრამები მოსახლეობისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია და დღევანდელი ხელისუფლებისთვის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტი ჯანდაცვის და სოციალური მიმართულებაა, რასაც ადასტურებს ისიც, რომ 2022 წლის ბიუჯეტში თანხის დაახლოებით ერთი მესამედი იხარჯება სწორედ ამ მიმართულებებზე. ანა კაკაბაძემ ისაუბრა იმ პროგრამებზე, რომლებსაც სიმსივნით დაავადებული ბავშვების დახმარების კუთხით ახორციელებს თბილისის მერია და რომლის მიზანია მათი ცხოვრების გაუმჯობესება, სიცოცხლის გახანგრძლივება და, რა თქმა უნდა, კიბოს დამარცხება და განაცხადა, რომ სწორედ ამ პროგრამების არსებობის გამო გადარჩა არაერთი ადამიანის სიცოცხლე.

ანა გოგოლაძემ აღნიშნა, რომ 15 სამუშაო დღის წინ თბილისის მერიაში რამდენიმე საკითხთან დაკავშირებით, საჯარო ინფორმაციის მიღების მიზნით, გაგზავნა წერილები, რომელთაგან ერთ-ერთი ეხებოდა ქეთევან წამებულის გამოხიზვით მიმდინარე სარეაბილიტაციო სამუშაოებს, კერძოდ, იქიდან გამომდინარე, რომ იქ არის უსინათლოთა სკოლა და შესაბამისად, ძალიან დიდია უსინათლოების კონცენტრაცია, მოქალაქეებს აინტერესებთ, რამდენად არის გათვალისწინებული ამ ჯგუფის საჭიროებები. თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ პასუხი მიიღეს მოქალაქეებმა, აღნიშნულთან დაკავშირებით პასუხი საკრებულოს წევრებს დღემდე არ მიუღიათ, რაც მიუთითებს პოლიტიკური ნების არარსებობაზე. ერთ-ერთი წერილით მოთხოვილი იქნა ინფორმაცია ორხევი საცხოვრებელი სახლების დემონტაჟის შედეგად

გამოსახლებული მოქალაქეების ქონებრივი მდგომარეობის შესახებ, რათა ოპოზიციისთვის არ დარჩენილიყო პოლიტიკური სპეკულაციის ადგილი, რაც ნამდვილად არ არის მისასალმებელი, თუმცა, არც ამ წერილთან დაკავშირებით მიუღიათ პასუხი. ზემოთ ხსენებულიდან გამომდინარე, ანა გოგოლაძემ თხოვნით მიმართა საკრებულოს თავმჯდომარეს, აღმასრულებელ ხელისუფლებასთან იქონიოს კომუნიკაცია იმასთან დაკავშირებით, რომ საკრებულოს წევრებმა დროულად, კანონით განსაზღვრულ ვადებში, მიიღონ მოთხოვნილი ინფორმაცია, რადგან სწორედ ეს უკანასკნელი არის მათი შემდგომი საქმიანობის საფუძველი.

გიორგი შარაშიძის თქმით, მიუხედავად იმისა, რომ იმყოფება თბილისის საკრებულოში, ძალიან მნიშვნელოვანია დღეს, საქართველოს სხვადასხვა რეგიონში, მიმდინარე პოლიტიკური პროცესები და ის სიტუაცია, რაც მათ კოლეგებს სხვადასხვა მუნიციპალიტეტების საკრებულოები საკმაოდ უხერხულ მდგომარეობაში აყენებს. ყველასთვის ცნობილია, რომ გუშინ, ზუგდიდის საკრებულოს თავმჯდომარედ აიჩიეს პარტიის „საქართველოსთვის“ წევრი, რითიც დასრულდა ორთვიანი ხელოვნური კრიზისი და ზუგდიდის საკრებულო მუშაობას განაგრძობს ზუგდიდისა და ზუგდიდელების ინტერესებისა და საჭიროებებისთვის. მან აქვე, ზუგდიდთან ერთად, მხარდაჭერა გამოუცხადა წალენჯიხის, ჩხოროწყუს და რუსთავის ოპოზიციურ საკრებულოებს და წარმატებული მუშაობა უსურვა მათ. მისი თქმით, საქმე გვაქვს სრულიად ახალი სტანდარტის პოლიტიკურ პროცესთან, რომლის მიზანია ერთპიროვნული მმართველობის დასრულება, ძალთა ბალანსის პრინციპი და ხელოვნური კრიზისის აცილება ადგილობრივ დონეზე. საუბრის ბოლოს, განაცხადა, რომ პარტია „საქართველოსთვის“ არც ერთ პოლიტიკურ პარტიასთან ალიანსში ან კოალიციაში არ იმყოფება, აქვს საკუთარი დღის წესრიგი და გეგმა, რომელსაც მიჰყვება ეტაპობრივად და მიზანმიმართულად.

საბა ბუაძემ განაცხადა, რომ საკრებულოს თითოეული წევრი წარმოადგენს თბილისელ ამომრჩეველს და ყველა ცდილობს წარმოადგინოს მათი საუკეთესო ინტერესები, თუმცა, ზოგადი მოცემულობა არის ძლიან ცუდი და, სამწუხაროდ, დედაქალაქის მერი იძლევა არაანგარიშვალდებულ ტონს, მათ შორის, მან უპასუხოდ დატოვა ოპოზიციის მოთხოვნა, მოსულიყო საკრებულოს რიგგარეშე სხდომაზე და საკრებულოს წევრებისთვის წარედგინა გაწეული საქმიანობის ანგარიში. მისი თქმით, ძალიან ცუდია, როდესაც თბილისის მერს ასეთ დონეზე ეშინია საკრებულოში მისვლა და ფიქრობს, რომ, როგორც თბილისის მერისთვის, ასევე, საკრებულოსთვის უკეთესი იქნება, გადალახული იქნას ეს სიმბდალე და საკრებულოში იყოს ჯანსაღი პროცესი და პოლიტიკური დისკუსია, რის შემდეგაც ამომრჩეველი თავად გადაწყვეტს სად არის სიმართლე. აღნიშნა, რომ თბილისის მერიის და მერიის დაქვემდებარებაში მყოფი იურიდიული პირების მხრიდან ხდება საკრებულოს წევრების შეკითხვების უგულვებელყოფა, რაც კანონით დადგენილი წესების დარღვევაა და თხოვნით მიმართა საკრებულოს თავმჯდომარეს, დაინტერესდეს ამ საკითხით, რადგან მნიშვნელოვანია იყოს ჯანსაღი საუბარი, დისკუსია და ინფორმაციის გაცვლა. აქვე, გამოეხმაურა თინათინ ნიბლოშვილის განცხადებას, რომ ტელევიზიით ხდება სხვადასხვა ინფორმაციის გავრცელება და განაცხადა, რომ, სამწუხაროდ, ჩამოყალიბდა ისეთი მოცემულობა, რომ ყველა ელაპარაკება სხვადასხვა ჯგუფს და ამომრჩეველს არ აქვს საშუალება თვალი მიადევნოს პოლიტიკურ პარტიებს შორის დისკუსიას და დებატებს. აქედან გამომდინარე, უმჯობესი იქნება მოხდეს სატელევიზიო დებატების ორგანიზება ნებისმიერ სატელევიზიო არხზე, რაც მხოლოდ და მხოლოდ კარგი იქნება თბილისელებისთვის და მათი ინტერესებისთვის. საუბრის ბოლოს, საბა ბუაძემ აღნიშნა, რომ დღეს, საქართველოს პარლამენტში, „ქართული ოცნების“ წარმომადგენლები მსჯელობენ ბადრი ჯაფარიძისთვის დეპუტატის მანდატის შეწყვეტაზე და განაცხადა, რომ „ქართული ოცნების“ პოლიტიკური გუნდი უშვებს ძალიან დიდი შეცდომას, რადგან ეს, პირველ რიგში, დააკნინებს პარლამენტის როლს და ძალიან სერიოზული „შავი ლაქა“ იქნება თითოეული იმ ადამიანის პოლიტიკურ ბიოგრაფიაში, რომელიც, აბსურდული საქმიდან გამომდინარე, მხარს დაუჭერს თავისი კოლეგისთვის უფლებამოსილების შეწყვეტას.

მისი თქმით, მსგავსი პრეცედენტები ძალიან დიდ ზიანს აყენებს არა მარტო პარლამენტის პოლიტიკურ კულტურას, არამედ მთლიანად, ქვეყანაში არსებულ პოლიტიკურ მოცემულობას.

გიორგი ტყემალაძემ საკრებულოს წევრების წერილების უპასუხოდ დატოვებაზე განაცხადა, რომ დაინტერესდება ამ საკითხით, თუმცა, ფიქრობს, რომ აღნიშნული, სავარაუდოდ, დაკავშირებულია ტექნიკური ხასიათის პრობლემასთან, რადგან ყველას აქვს შეკითხვაზე პასუხის გაცემის ვალდებულება. აქვე, გამოეხმაურა განცხადებას, რომ თითქოს თბილისის მერმა საკრებულოს არ წარუდგინა ანგარიში და აღნიშნა, რომ ამაზე საუბარი უხერხულია, რადგან კახა კალაძე, 2021 წლის თვითმმართველობის არჩევნების შემდეგ, მოვიდა საკრებულოში, წარადგინა თბილისის მთავრობის წევრები და ყველა დასმულ შეკითხვაზე გასცა პასუხი.

ლილე ლიპარტელიანი განაცხადა, რომ მთავრობის წარდგენა და წლიური ანგარიში აბსოლუტურად განსხვავდება ერთმანეთისგან და შესაბამისად, თბილისის მერს საკრებულოსთვის წლიური ანგარიში არ წარუდგენია. აქვე, გამოეხმაურა თინათინ ნიბლოშვილის მიერ გაკეთებულ განცხადებას და აღნიშნა, რომ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლები არიან საკრებულოს ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის წევრები, ძალიან კარგად იციან, თუ რა კეთდება ამ მიმართულებით და ოპოზიციის მხრიდან, ამ კუთხით არასდროს არსად არაფერი გაჟღერებულა და აქედან გამომდინარე, გაუგებარია რას ნიშნავდა მისი გამოსვლა. ასევე, გაუგებარია თუ რა დეზინფორმაციის გავრცელებაზე საუბრობს თინათინ ნიბლოშვილი, რადგან თბილისის მერიაც ადასტურებს, რომ ვარკეთილში მიმდინარე მშენებლობა უკანონოა, რის გამოც დაჯარიმებულია მშენებელი კომპანია. ლილე ლიპარტელიანის თქმით, მთავარი არის პრევენციული ღონისძიებების გატარება, რათა არ განხორციელდეს უკანონო მშენებლობა და არა ის, რომ უკანონო მშენებლობის გამო დაჯარიმდეს ესა თუ ის კომპანია. არავინ ამბობს, რომ სწორია მითითებული სახელმწიფო ან მუნიციპალური მიწა და განხორციელო მშენებლობა, მაგრამ, შერჩევითია მიდგომა, როდესაც არ ანგრევ უკანონოდ მშენებარე რეასართულიან კორპუსს და ანგრევ მოქალაქეების მიერ აშენებულ 10 კვ.მ. საცხოვრებელ სახლს. მან ასევე, ისაუბრა „ქართული ოცნების“ პარტიული აქტივის დასაქმებაზე, მაგალითისთვის აღნიშნა, რომ საკრებულოს წევრს, გივი ჩხარტიშვილს, გლდანის სპორტულ კომპლექსში დასაქმებული და დასუბსიდირებული ჰყავს 206 ადამიანი და გარდა ამისა, კონკრეტული სახელების და გვარების მითითებით შეუძლია ისაუბროს იმაზე, თუ როგორ იყენებს „ქართული ოცნება“ ადმინისტრაციულ რესურსს და თბილისის ბიუჯეტს პარტიის სასარგებლოდ და მიმართა თინათინ ნიბლოშვილს, დაასახელოს ოპოზიციის მხრიდან გაჟღერებული დეზინფორმაციის კონკრეტული მაგალითი და მიიღებს კონკრეტულ პასუხს.

მამუკა გუგუშაშვილი გამოეხმაურა თინათინ ნიბლოშვილის გამოსვლას და განაცხადა, რომ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლები ცდილობენ იყენონ კონსტრუქციული. მისი თქმით, თუ ვისაუბრებთ კანონით, გასაგებია, რომ კერძო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე მიმდინარე მშენებლობა უნდა დაჯარიმდეს, ხოლო სახელმწიფო ან მუნიციპალურ საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე განხორციელებული მშენებლობა უნდა დაინგრეს. თუმცა, ასევე, კანონი ითვალისწინებს იმას, რომ საკრებულოს ფრაქციას უფლება აქვს სხდომაზე მოიწვიოს თბილისის მთავრობის წევრები, ხოლო მათ აქვთ ვალდებულება, მოვიდნენ და უპასუხონ დასმულ შეკითხვებს. მამუკა გუგუშაშვილის თქმით, ოპოზიციის წარმომადგენლებს, იმისათვის, რომ მოსახლეობის მხრიდან დასმულ შეკითხვებს გასცენ ობიექტური პასუხი, აინტერესებთ ინფორმაცია იმ ადამიანების ქონებრივი მდგომარეობის შესახებ, რომლებსაც თბილისის მერიამ დაუნგრია საცხოვრებელი სახლები. შესაძლებელია რამდენიმე ადამიანს მართლაც არ ჰქონდეს სხვა საცხოვრებელი და თუ ეს ასეა, უნდა ვეცადოთ გამოვჩახოთ რაიმე გზა, რომ რამდენიმე ხნით, თუნდაც ზამთრის პერიოდში, ამ ადამიანებს ჰქონდეთ საცხოვრებელი ადგილი.

რევაზ სოხაძემ განაცხადა, რომ არასწორია უკანონო მშენებლობების საკითხის განხილვა იმ კუთხით, ესა თუ ის ადამიანი ფლობს თუ არა რაიმე ქონებას, რადგან ქონების მიტაცება არის დანაშაული და არ აქვს მნიშვნელობა ამ დანაშაულის ჩამდენი ფლობს თუ არა სხვა ქონებას. არასამართლიანი მსჯელობა, რომ თუ მოქალაქეს აქვს სხვა ქონებაც არ ეპატიება დანაშაულის ჩადენა და თუ არ აქვს - ეპატიება. მისი თქმით, ეს თემა დაიწყო რამდენიმე წლის წინ და არსებობენ გარკვეული ჯგუფები, რომლებიც ამ თემით „ხელს ითბობენ“ და ამ საკითხზე უნდა იმუშაონ შესაბამისმა ორგანოებმა. მისი თქმით, იმ იმედით, რომ მოქმედებს მიწის ლეგალიზაციის კანონი და გარკვეული პერიოდის შემდეგ ადამიანებს დაუკანონდებათ უკანონოდ მიტაცებული მიწები, ამ პროცესმა მიიღო შეუქცევადი სახე და აქედან გამომდინარე, ამის შეჩერება ძალიან მნიშვნელოვანია. აქვე აღნიშნა, რომ ვერც ერთი ადამიანი, რომელსაც არ აქვს საცხოვრებელი, ვერ იტყვის იმას, რომ მიმართა გამგეობას და ეს უკანასკნელი შეძლებისდაგვარად არ დაეხმარა. მისი თქმით, ყველაფერზე კამათი არ შეიძლება და ყველამ სწორად უნდა აღიქვას რა არის კანონდარღვევა, ისევე, როგორც ეს მოხდა ვარკეთილში უკანონოდ აშენებული კორპუსის შემთხვევაში - როდესაც ყველამ ვადაირეთ, რომ ეს არის დანაშაული და ასევე ვადაირეთ, რომ ბარათაშვილზე არსებული მშენებლობა პროექტთან შეუსაბამოა და უნდა მოინგრეს.

ოთარ გრიგოლიამ ლილე ლიპარტელიანის განცხადებაზე, რომ მუნიციპალიტეტმა არ დაანგრია ვარკეთილში უკანონოდ აშენებული რეასართულიანი კორპუსი და დაანგრია მოქალაქეების მიერ უკანონოდ აშენებული საცხოვრებელი სახლები განმარტა, რომ მუნიციპალურ მიწაზე უკანონოდ აშენებული შენობა-ნაგებობის დემონტაჟის უფლება აქვს თბილისის მუნიციპალიტეტს, ხოლო კერძო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე უკანონოდ აშენებული შენობა-ნაგებობის დემონტაჟის უფლება მუნიციპალიტეტს არ აქვს, ამისთვის არსებობს შესაბამისი სახელმწიფო სამსახური და იმაზე საუბარი, რომ მუნიციპალიტეტმა რეაგირება არ მოახდინა, არაკორექტულია. აქვე, გამოეხმაურა საბა ბუაძის მიერ სატელევიზიო დებატებთან დაკავშირებით გაკეთებულ განცხადებას და აღნიშნა, რომ ნებისმიერ დროს მზად არის სხვადასხვა ფორმატში დისკუსიისთვის, თუმცა იმ ტელევიზიებში, რომლებიც, მისი თქმით, „აწარმოებენ ბოროტებას“, დებატებში მონაწილეობას არ მიიღებს, რადგან ეს არის პოლიტიკური გადაწყვეტილება.

გურამ ოქროპირიძე გამოეხმაურა ლილე ლიპარტელიანის მიერ ოპოზიციის მხრიდან დეზინფორმაციის გავრცელების კონკრეტული მაგალითების დასახელებასთან დაკავშირებით გაკეთებულ განცხადებას და აღნიშნა, რომ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლის მიერ, საკრებულოს ერთ-ერთ სხდომაზე, გაჟღერებული იქნა ინფორმაცია, თითქოს ერთ-ერთმა გამგეობამ, კონკრეტულ მოქალაქეს დახმარებაზე უარი უთხრა პარტიული ნიშნით, თუმცა ეს ასე არ აღმოჩნდა, რაც დადასტურდა იმავე სხდომაზე. ასევე, ავრცელებენ ინფორმაციას, თითქოს პარკინგის გადასახადი მოქალაქეებისთვის გაიზარდა 800 ლარამდე, რაც არის ტყუილი და ამასთან დაკავშირებითაც გაკეთდა არაერთი განმარტება. დეზინფორმაციაა ისიც, რომ კახა კალაძემ უსახლკაროდ დატოვა მოქალაქეები, რადგან გამგეობას აქვს პროგრამა, რომლის ფარგლებშიც ასეთი ადამიანები გაჰყავს ქირით და ვერავინ დაასახელებს ვერც ერთ მოქალაქეს, რომელიც მერიამ მიატოვა უსახლკაროდ. ლილე ლიპარტელიანის მიერ გაკეთებულ განცხადებაზე, რომელიც ეხებოდა პარტიული აქტივის დასაქმებას, გურამ ოქროპირიძემ განაცხადა, რომ 2009 წლიდან 2013 წლამდე, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ პარტიული აქტივი ფიქტიურად იყო გაფორმებული სხვადასხვა მუნიციპალურ სამსახურებში. საუბრის ბოლოს, განაცხადა, რომ უკანონო მშენებლობაზე საუბრისას, უხერხულია კახა კალაძისკენ ხელის გაშვერა იმ ფონზე, როდესაც გიგი უგულავას მერობის პერიოდში, ვაკის პარკში გაიცა სასტუმროს მშენებლობის ნებართვა.

კახაბერ ლაბუჩიძემ განმარტება გააკეთა ქეთევან წამებულის გამზირის რეაბილიტაციის ფარგლებში უსინათლოების ინტერესების გათვალისწინებაზე და აღნიშნა, რომ უსინათლოთა და მცირე მხედველთა სკოლა-პანსიონი განთავსებულია გუთნის ქ.16-ში არსებულ N202

საჯარო სკოლაში, რომელსაც სრულ რეაბილიტაციას უტარებს განათლების სამინისტრო და ამიტომ, დროებით, გადასულია საბურთალოზე N126 სკოლის შენობაში.

ალექსანდრე რატიშვილმა ისაუბრა ავარიული სახლების მიმართულებით არსებულ მდგომარეობაზე და გამოთქვა მოსაზრება, რომ თბილისელების ინტერესებიდან გამომდინარე, კარგი იქნება საკრებულომ, თავისი კომპეტენციის ფარგლებში შექმნას სამუშაო პროცესი და დაავალდებულოს მერია, გარკვეულ ვადაში წარმოადგინოს სრული ანგარიში ქალაქში არსებული საცხოვრებლად უვარგისი ავარიული სახლების შესახებ, რა საშიშროების წინაშე ვდგავართ ამ კუთხით და იმის შესახებ, თუ რა გეგმა აქვს ამ მიმართულებით არსებული პრობლემის მოსაგვარებლად. ასევე, ისაუბრა კომუნალური სერვისების მომწოდებელ კომპანიებზე, რომლებმაც, მისი თქმით, „ჩაიდინეს გაუგონარი თავხედობა“, რითიც ჩვენს მოქალაქეებს მიაყენეს „ენით აუწერელი შეურაცხყოფა“ და გამოთქვა მოსაზრება, რომ საკრებულომ უნდა დააფიქსიროს პოზიცია და თავისი კომპეტენციის ფარგლებში, გადადგას ქმედითი ნაბიჯები ჩვენი თანამოქალაქეების ინტერესების დასაცავად. საუბრის ბოლოს, გამოეხმაურა თბილისის მთავრობის წევრების საკრებულოში მოწვევის საკითხს და განაცხადა, რომ საკრებულო უნდა იყოს მერიის მთავარი ოპონენტი და არ შეიძლება მერიის წარმომადგენლების ყველა საქციელის გამართლება.

გიორგი ტყემალაძემ აღნიშნა, რომ არავინ ამართლებს ამა თუ იმ ადამიანის ყველა საქციელს და არაერთი მაგალითის მოყვანა შეიძლება იმის დასტურად, რომ საკრებულოს მერიის სხვადასხვა სამსახურებთან გარკვეულ საკითხებზე ჰქონია უთანხმოება, თუმცა, ერთი გუნდის მთავარი პრინციპი არის ის, რომ საბოლოო გადაწყვეტილებამდე მივდივართ ერთობლივად. მისი თქმით, ერთი გუნდის წევრების მიერ ერთმანეთის დაცვაში გასაკვირი არაფერია, თუმცა, ეს არ ნიშნავს იმას, რომ ერთმანეთს ყველაფერში უპირობოდ ეთანხმებიან. ავარიულ სახლებთან დაკავშირებით, განაცხადა, რომ ქალაქისთვის ეს არის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გამოწვევა და ამ პრობლემის მოგვარების მიზნით, ხორციელდება არაერთი პროგრამა, მათ შორის, ამხანაგობის პროგრამა, თბილისის განვითარების ფონდი, ავარიული სახლების ჩანაცვლების პროგრამა, რომელთა მიმდინარეობის შესახებ დეტალური ინფორმაცია, საკრებულოს წევრებს, შეუძლიათ მოისმინონ შესაბამისი სამსახურების წარმომადგენლებისგან, საკრებულოს ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის სხდომის ფარგლებში და თუ საჭირო იქნება, იმსჯელონ კიდევ რაიმე დამატებითი ინსტრუმენტების შემუშავებაზე. კომუნალური სერვისების მომწოდებელ კომპანიებთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ საკრებულო ვერ შევა მარეგულირებელი კომისიის კომპეტენციებში, თუმცა იქიდან გამომდინარე, რომ ეს კომპანიები არიან ქალაქის მთავარი ოპერატორები და ემსახურებიან თბილისს, რა თქმა უნდა, საკრებულოს სრული უფლება აქვს მოისმინოს მათგან ინფორმაცია და გამოთქვა მოსაზრება, რომ შესაძლებელია დაიგეგმოს ასეთი შეხვედრის ფორმატი.

გიორგი ონიანმა ისაუბრა საქართველოს პრემიერმინისტრის მიერ „COVID-19“-ის საწინააღმდეგო აგრასთან დაკავშირებით გაკეთებულ განცხადებაზე და მიმართა გიორგი ტყემალაძეს დააფიქსიროს თავის პოზიცია, თუ რა მნიშვნელობა აქვს აგრას ვირუსთან ბრძოლის წინააღმდეგ. აქვე, აღნიშნა, რომ პოლიტიკოსი, თამაზ მეჭიაური, რომლის გარდაცვალების მიზეზი გახდა ახალი კორონავირუსი არ იყო აცრილი და მიმართა საკრებულოს წევრებს, წუთიერი დუმილით პატივი მიეგოთ მისი ხსოვნისთვის.

გიორგი ტყემალაძემ, საკრებულოს სახელით, მწუხარება გამოთქვა თამაზ მეჭიაურის გარდაცვალების გამო, რის შემდეგაც საკრებულოს წევრებმა წუთიერი დუმილით პატივი მიაგეს მის ხსოვნას.

გიორგი ჩაკვეტაძემ განაცხადა, რომ დღეს, ოპოზიციის მხრიდან, იყო მცდელობა გადაეფარა ის სიახლეები, რაც წარმოდგენილია მიმდინარე სხდომაზე, კერძოდ: თბილისის ბიუჯეტი იზრდება 86000000 ლარით, რომელიც მოხმარდება იმას, რომ რაც შეიძლება მეტმა ჩვენმა

თანამოქალაქემ ისარგებლოს საზოგადოებრივი ტრანსპორტის მიმართულებით შემოთავაზებული ერთიანი რეფორმით, ჯანდაცვის და სპორტისა და ახალგაზრდობის მიმართულებით არსებული პროგრამებით და სხვა. აქვე, გამოეხმაურა ლილე ლიპარტელიანის მიერ, ერთ-ერთ ა(ა)იპ-ში პარტიული ნიშნით ადამიანების დასაქმებაზე გაკეთებულ განცხადებას და მიმართა მას: „მერი გყავდათ, ერთი ქოლგის ქვეშ, რომელიც გასამართლებულია იმისთვის, რომ ადმინისტრაციული რესურსი გამოიყენა პარტიული აქტივის დასასაქმებლად, ეს იყო 1500-მდე ადამიანი. პარლამენტში გყავთ დეპუტატი, ლევან ხაბეიშვილი, რომელიც მწვრთნელად იყო გაფორმებული იმასთან ერთად, როცა იყო საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე“. საუბრის ბოლოს, გიორგი ჩაკვეტაძემ განაცხადა, რომ დემაგოგია და ტყუილია ოპოზიციის მხრიდან იმის თქმა, რომ შარშან თბილისის მერი არ ყოფილა საკრებულოში მოსული, ისევე, როგორც დემაგოგია პარტიული ტელევიზიების მიერ უსახლკაროებად იმ ადამიანების წარმოჩენა, რომლებსაც სოლიდური შემოსავალი და რამდენიმე ბინა აქვთ თბილისის სხვადასხვა რაიონში და ოპოზიციონერ კოლეგებს საქმიანი და კონსტრუქციული თანამშრომლობისკენ მოუწოდა.

გივი ჩხარტიშვილი გამოეხმაურა ლილე ლიპარტელიანის განცხადებას, რომელიც ეხებოდა გლდანის სპორტულ კომპლექსში დასაქმებულ ადამიანებს და აღნიშნა, რომ მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურს აქვს ერთ-ერთი ყველაზე დიდი ა(ა)იპ გლდანი-ნამალადევის სპორტული კომპლექსური ცენტრი, სადაც შედის ხუთი სტრუქტურული ერთეული და საერთო ჯამში დასაქმებულია 205 ადამიანი და მიმართა ლილე ლიპარტელიანს, სანამ გააკეთებს რაიმე კონკრეტულ დეზინფორმაციულ განცხადებას, უმჯობესი იქნება საკითხი შეისწავლოს დეტალურად.

დავით ფარცვანიამ განაცხადა, რომ კარგი იქნება, ვისწავლოთ შეცდომების აღიარება, რადგან ყველამ ვიცით, რომ დღეს არსებული სისტემური პრობლემა დაიწყო „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ხელისუფლებამ, რაც გამოიხატებოდა საჯარო სამსახურებში პარტიული ნიშნით ადამიანების დასაქმებით და ეს პრობლემა დღესაც გრძელდება. აქედან გამომდინარე, ერთმანეთისთვის ბრალდებების წაყენებას ჯობია ერთად ვიფიქროთ, როგორ აღმოვფხვრათ ეს სისტემური პრობლემა. აქვე, აღნიშნა, რომ ფრაქცია „თბილისი საქართველოსთვის“ მზად არის აქტიურად ითანამშრომლოს უმრავლესობასთან თბილისისთვის მნიშვნელოვან საკითხებზე, თუმცა, ავტომატურ რეჟიმში, უმრავლესობის მხრიდანაც ითხოვს თანამშრომლობას.

ირაკლი ნადირაძე გამოეხმაურა გიორგი ჩაკვეტაძის მიერ ლევან ხაბეიშვილთან დაკავშირებით გაკეთებულ განცხადებას და განმარტა, რომ ლევან ხაბეიშვილი მუშაობდა მონიტორინგის სამსახურში და მწვრთნელები სპორტულ მოედნებზე აწარმოებდნენ იმის მონიტორინგს, რომ სოციალურად დაუცველ ბავშვებს ამ მოედნებით ესარგებლათ უფასოდ.

ვლადიმერ ბოჟაძემ განაცხადა, რომ მისთვის გაუგებარია, რატომ გამოიწვია ოპოზიციონერი კოლეგების გაღიზიანება თინათინ ნიბლოშვილის განცხადებამ, რადგან მისი თქმით, „საკითხი დგას ძალიან მარტივად - სიმართლე არის სიმართლე, რაც არ არის სიმართლე, ის არის დეზინფორმაცია“. ხოლო სიმართლე, მისი თქმით, არის ის, რომ კახა კალაძე არის ერთ-ერთი ყველაზე მეტად ანგარიშვალდებული მერი თბილისელების წინაშე, ხოლო ოპოზიციონერი კოლეგები, მიუხედავად იმისა, რომ კახა კალაძე მოსული იყო საკრებულოში და წარადგინა ანგარიში, ამბობენ, რომ ის არ აბარებს ანგარიშს საკრებულოს. ვლადიმერ ბოჟაძემ ასევე, ისაუბრა საკრებულოს წევრების კონსტრუქციულ თანამშრომლობაზე და აღნიშნა, რომ უმრავლესობა მზად არის ნებისმიერ ფორმატში, მათ შორის, დებატებში და საქმიან განხილვებში ითანამშრომლოს ოპოზიციონერ კოლეგებთან.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით:

დღის წესრიგი:

1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 27 დეკემბრის N4-7 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ“;

მომხსენებელი: გაიოზ თალაკვაძე

2. „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის 100%-იანი წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „თბილსერვის ჯგუფის“ მიერ გაწეული მომსახურების საფასურის განსაზღვრის შესახებ“ ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 1 ოქტომბრის N64-108 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“;

მომხსენებელი: ბექა გოგილიძე

3. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში M2 კატეგორიის ავტობუსებით რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას შეღავათით მოსარგებლე მოქალაქეთა მგზავრობის დადგენილი ტარიფის ანაზღაურების შესახებ“;

მომხსენებელი: დავით ჯაიანი

4. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უსახლკაროდ რეგისტრირებულ პირთა თავმესაფრით/საცხოვრისით უზრუნველყოფის მიზნით, უძრავი ქონების შეძენაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“;

მომხსენებელი: მარიამ კვერნაძე

5. „ქალაქ თბილისში, ალექსანდრე (საშა) იოსელიანის II შესახვევის N2-ში მდებარე 44.70 კვ.მ. უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.14.05.008.351.01.01.010) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: მარიამ კვერნაძე

6. „ქალაქ თბილისში, გრიგოლ ფერაძის ქუჩა N5-ში, კორპუს N1-ში (საკადასტრო კოდი: N01.01.72.14.013.429) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: მარიამ კვერნაძე

7. „ქალაქ თბილისში, გმირი კურსანტების მე-2 შესახვევი N1-ში (საკადასტრო კოდი: N01.11.05.030.006.04.500) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: მარიამ კვერნაძე

8. „ქალაქ თბილისში, ელდარის ქუჩა N12-ში, კორპუსი N1-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.20.026.027.01.012) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: მარიამ კვერნაძე

9. „ქალაქ თბილისში, გუდამაყრის ქუჩა N2ა-ში (საკადასტრო კოდი: N01.12.07.004.004) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: მარიამ კვერნაძე

10. „ქალაქ თბილისში, მოსკოვის გამზირი N37-ში, კორპუსი N3-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.35.001.011.01.503) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: მარიამ კვერნაძე

11. „ქალაქ თბილისში, ზღვისუბნის დასახლებაში, მე-11 მიკრორაიონის მე-2 კვარტლის კორპუს N23ა-ში (საკადასტრო კოდი: N01.12.02.022.018.01.050) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: მარიამ კვერნაძე

12. „ქალაქ თბილისში, დავით სარაჯიშვილის ქუჩა N19-ში (საკადასტრო კოდი: N01.11.05.034.008.01.528) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: მარიამ კვერნაძე

13. „ქალაქ თბილისში, სოფელ ახალდაბაში, ბეთანიის ქუჩა N2-ში მდებარე 82 კვ.მ. მიწის ნაკვეთის და მასზე განთავსებული 70.99 კვ.მ. შენობა-ნაგებობის (საკადასტრო კოდი: N01.20.01.117.166) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: მარიამ კვერნაძე

14. „ქალაქ თბილისში, აეროპორტის დასახლება N18-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.25.009.038) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: მარიამ კვერნაძე

15. „ქალაქ თბილისში, ჯავახეთის მე-2 შესახვევი N16-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.20.007.003.01.012) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: მარიამ კვერნაძე

16. „ქალაქ თბილისში, გმირი კურსანტების ქუჩა N8-ში (საკადასტრო კოდი: N01.11.05.030.001) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: მარიამ კვერნაძე

17. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქონების მართვის სააგენტოსა და ა(ა)იპ - საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას (ს/ნ. 201990079) შორის 2019 წლის 9 ივლისს გაფორმებული „უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შესახებ ხელშეკრულებაში“ ცვლილების შეტანისა და დაკისრებული/დასაკისრებელი პირგასამტეხლოსგან ა(ა)იპ - საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის (ს/ნ.: 201990079) გათავისუფლების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: მარიამ კვერნაძე

18. „ქალაქ თბილისში, პარკი „მზიურის“ ტერიტორიაზე (საკადასტრო კოდი: N01.14.14.005.156) არსებული N5 შენობა-ნაგებობის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „კუბი კონტექსტი“ (ს/ნ. 402176328) პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: მარიამ კვერნაძე

19. „ქალაქ თბილისში, დიდი დიღმის მიმდებარე ტერიტორიაზე N01.10.07.001.995, N01.10.07.001.993 საკადასტრო კოდეზით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთების პირდაპირი განკარგვის წესით არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „საქართველოს საცხენოსნო ხალხური თამაშობების განვითარების ეროვნული ფედერაციისთვის“ (ს/ნ. 405332563) უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: მარიამ კვერნაძე

20. „ქ.თბილისში, კავთისხევის ქუჩა N17-ში ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 258 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.12.12.028.009) გაცვლის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: მარიამ კვერნაძე

21. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქ.თბილისში, ფეიქრების ქუჩა N4, კამბოლური დართვის ფაბრიკის მიმდებარედ, 1284 კვ.მ. (საკადასტრო კოდი: N01.11.19.005.011) და ქალაქ თბილისში, ფეიქრების ქუჩა N12-ის მიმდებარედ, 204 კვ.მ. (საკადასტრო კოდი: N01.11.19.005.050) გაცვლის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: მარიამ კვერნაძე

22. „ქალაქ თბილისში, მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე, ფერდობი N1/ ქალაქ თბილისში, გაგარინის ქუჩა N29ა-ს მიმდებარედ/ქალაქ თბილისში, მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე, ფერდობი N2-ზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 7488 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.10.18.001.033) გაცვლის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: მარიამ კვერნაძე

23. „ქ.თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირზე რეგისტრირებული 4061 კვ.მ. ფართობის მიწის ნაკვეთიდან (ს/კ. N01.16.05.032.024) 30 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „დიემთი ქორფორეიშნ“-ისთვის (ს/ნ: 406339369) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: მარიამ კვერნაძე

24. „ქ.თბილისი, ბოჭორიშვილის ქ.37„ა“-ში (ს/კ. N01.10.13.023.001) არსებული სამშენებლო ობიექტის დასრულების მიზნით, შპს „ბოჭორიშვილის“ (ს/ნ. 405411139) მიმართ დამატებითი/დაზუსტებული ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: რევაზ სოხაძე

25. „შპს „ცენტრ პოინტ ჯგუფის“ და მასთან აფელირებული კომპანიების დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისათვის ფინანსური მხარდამჭერი ღონისძიებების განხორციელების ფარგლებში შპს „მაზას“ (ს/ნ. 401987374) მიმართ დამატებითი/დაზუსტებული ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: რევაზ სოხაძე

26. „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტაძე

27. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტინე

28. „ქალაქ თბილისში, ქ.წამებულის N65-ში (ნაკვ. 038/017; 038/018); ქალაქი თბილისი, ჭრელაშვილის ქ.N4-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდები: N01.17.13.038.040; N01.17.13.038.042; N01.17.13.038.049) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტინე

29. „ქალაქ თბილისში, სოფელ თხინვალაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N72.16.23.423; N72.16.23.440; N72.16.23.441; N72.16.23.428; N72.16.23.427; N72.16.23.424; N72.16.23.425; N72.16.23.412) ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტინე

30. „ქალაქ თბილისში, ნუცუბიძის ფერდობი, II მ/რ, I კვარტალი, კორპუსი N7-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდები: N01.14.01.007.399; N01.14.01.007.380-ის ნაწილი) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტინე

31. „ქალაქ თბილისში, სოფელ წავკისში არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდები: N81.02.21.753; N81.02.21.732; N81.02.21.752; N81.02.21.729; N81.02.21.728; N81.02.21.730; N81.02.21.731; N81.02.21.733; N81.02.21.734) და მიმდებარედ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტინე

32. „ქალაქ თბილისში, დაბა კოჯორში, სოფელ კიკეთში არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდები: N81.01.02.681; N81.01.02.682; N81.01.02.522; N81.01.02.523; N81.01.02.558; N81.01.03.444-ის ნაწილი) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტინე

33. „ქალაქ თბილისში, გედევანიშვილის ქ. N25-ში, N25 კორპუსის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: N01.16.07.002.002, N01.16.07.002.025), შერეული ტიპის უბნის (საცხოვრებელი და საზოგადოებრივ-საქმიანი) განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის შეთანხმების შესახებ“ ქალაქ თბილისის მერის 2013 წლის 26 მარტის N543 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტინე

34. „ქალაქ თბილისში, ხევძმარის ქუჩა N1-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.11.13.001.117) განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 25

იენისის N188 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტინე

35. „ქ.თბილისში, ვაკე-საბურთალოს რაიონში, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირზე N34-ში, N38ა-ში და ქავთარაძის ქუჩა N5-ში, ამხანაგობა „ქავთარაძე 2005“-ის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე, მრავალფუნქციური კომპლექსის (საზოგადოებრივი, სავაჭრო-საყოფაცხოვრებო ფუნქციის ობიექტები, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლები და სხვა) განაშენიანების რეგულირების გეგმის შეთანხმების შესახებ“ ქალაქ თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 2008 წლის 4 იენისის N01/661 ბრძანებით შეთანხმებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტინე

36. „ქ.თბილისში, დიდგორის რაიონში, სოფელ წავკისში (საკადასტრო კოდი: N81.02.01.572) ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის შეთანხმების შესახებ“ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი - თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2010 წლის 20 ოქტომბრის N01/2339 ბრძანებით შეთანხმებული განაშენიანების რეგულირების გეგმის ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტინე

37. „ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში, ლეო კვაჭაძის ქუჩასთან არსებული უსახელო ჩიხისთვის ლეო კვაჭაძის II ჩიხის სახელის მინიჭების შესახებ“;

მომხსენებელი: ნინო ვარდოსანიძე

38. „ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში, წყნეთში, მიხეილ ჯავახიშვილის ქუჩასთან არსებული უსახელო გასასვლელისთვის მიხეილ ჯავახიშვილის I გასასვლელის სახელის მინიჭების შესახებ“;

მომხსენებელი: ნინო ვარდოსანიძე

39. „ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში, წყნეთში, მძლეეთის ქუჩასთან არსებული უსახელო ჩიხისთვის მძლეეთის I ჩიხის სახელის მინიჭების შესახებ“;

მომხსენებელი: ნინო ვარდოსანიძე

40. „ქალაქ თბილისში, გლდანის რაიონში, ავეტიკ ისააკიანის ქუჩასთან არსებული უსახელო ჩიხისთვის ავეტიკ ისააკიანის II ჩიხის სახელის მინიჭების შესახებ“;

მომხსენებელი: ნინო ვარდოსანიძე

41. „ქალაქ თბილისში, კრწანისის რაიონში, სოფელ ფონიჭალაში, ილია ჭავჭავაძის ქუჩასთან არსებული უსახელო შესახვევისთვის ილია ჭავჭავაძის I შესახვევის სახელის მინიჭების შესახებ“;

მომხსენებელი: ნინო ვარდოსანიძე

42. „ქალაქ თბილისში, ჩუღურეთის რაიონში, ანასტასია თუმანიშვილი-წერეთლის ქუჩის გაგრძელების შესახებ“;

მომხსენებელი: ნინო ვარდოსანიძე

43. „ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, ოზაანის ქუჩასთან არსებული უსახელო ჩიხისთვის ოზაანის I ჩიხის სახელის მინიჭების შესახებ“;

მომხსენებელი: ნინო ვარდოსანიძე

44. „ქალაქ თბილისში, მთაწმინდის რაიონში, წავკისში, ცხრა ძმა ხერხეულიძის ქუჩასთან არსებული უსახელო ჩიხისთვის ცხრა ძმა ხერხეულიძის I ჩიხის სახელის მინიჭების შესახებ“;

მომხსენებელი: ნინო ვარდოსანიძე

45. „ქალაქ თბილისში, მთაწმინდის რაიონში, წავკისში, ვახტანგ გორგასლის ქუჩასთან არსებული უსახელო შესახვევისთვის ვახტანგ გორგასლის IV შესახვევის სახელის მინიჭების შესახებ“;

მომხსენებელი: ნინო ვარდოსანიძე

46. „ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, ემირ ბურჯანაძის ქუჩასთან არსებული უსახელო შესახვევისთვის ემირ ბურჯანაძის V შესახვევის სახელის მინიჭების შესახებ“;

მომხსენებელი: ნინო ვარდოსანიძე

47. „ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, ალადასტურის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის წარაფის სახელის მინიჭების შესახებ“;

მომხსენებელი: ნინო ვარდოსანიძე

48. „ქალაქ თბილისში, კრწანისის რაიონში, ვახტანგ გორგასლის შესახვევისთვის და გასასვლელისთვის არტილერისტის გიორგი გურამიშვილის ქუჩის და გიორგი გურამიშვილის I და II შესახვევის სახელის მინიჭების შესახებ“;

მომხსენებელი: ნინო ვარდოსანიძე

49. „ქალაქ თბილისში, მთაწმინდის რაიონში, კოჯორში, იუნკერთა და გიორგი კვინიტაძის ქუჩებთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის იუნკერ მაკარ ბურჭულაძის სახელის მინიჭების შესახებ“;

მომხსენებელი: ნინო ვარდოსანიძე

50. „ქალაქ თბილისში, ნაძალადევის რაიონში, ჩარგლის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის საზოგადო მოღვაწის აპოლონ ჯინჭარაძის სახელის მინიჭების შესახებ“;

მომხსენებელი: ნინო ვარდოსანიძე

51. „ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში, ავთო ვარაზის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის მომღერალ ნუგზარ აფხაიძის სახელის მინიჭების შესახებ“;

მომხსენებელი: ნინო ვარდოსანიძე

52. „ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში, ფერმწერთა ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის მომღერლის, კომპოზიტორ ავთანდილ შარვაშიძის სახელის მინიჭების შესახებ“;

მომხსენებელი: ნინო ვარდოსანიძე

53. „ქალაქ თბილისში, საბურთალოს რაიონში, ადამ მიცკევიჩის ქუჩასთან მდებარე უსახელო სკვერისთვის მომღერალ თემურ წიკლაურის სახელის მინიჭების შესახებ“;

მომხსენებელი: ნინო ვარდოსანიძე

54. „ქალაქ თბილისში, მთაწმინდის რაიონში, ვერის ბაღში მდებარე ჭადრაკის სასახლისთვის მოჭადრაკე, მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონის ნონა გაფრინდაშვილის სახელის მინიჭების შესახებ“.

მომხსენებელი: ნინო ვარდოსანიძე

მომხრე - 45

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 27 დეკემბრის N4-7 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსმა გაიოზ თალაკვაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილი ცვლილებებით ბიუჯეტი იზრდება 86660000 ლარით, რომელიც გადანაწილებულია სხვადასხვა პროგრამებსა და ქვეპროგრამებში.

ანა გოგოლაძემ აღნიშნა, რომ ცვლილებებით წარმოდგენილია მერიის ბიუჯეტის ასიგნებების ზრდა 1300000 ლარით და დაინტერესდა, რას მოხმარდება ეს თანხა.

გაიოზ თალაკვაძემ განმარტა, რომ ხსენებული თანხა მოხმარდება, როგორც გამგეობებისთვის, ასევე, მერიისთვის განკუთვნილი ავტომანქანების შეძენას.

ირაკლი ნადირაძემ აღნიშნა, რომ რამდენიმე დღის წინ გაჟღერებული ინფორმაციის თანახმად, მერია აშენებს ახალ ადმინისტრაციულ შენობას, რომელიც განკუთვნილი იქნება მერიის ადმინისტრაციისთვის და რამდენიმე საქალაქო სამსახურისთვის და დაინტერესდა, წარმოდგენილი ცვლილებებიდან ხომ არ არის გარკვეული თანხა გათვალისწინებული ამ მიმართულებით და ზოგადად, რა დაჯდება აღნიშნული შენობის მშენებლობა. ასევე, დაინტერესდა, თუ რა მარკის მანქანებით აპირებს თბილისის მერია ავტოპარკის განახლებას.

გაიოზ თალაკვაძემ განმარტა, რომ დაგეგმილია ყველაზე იაფიანი, „kia picanto“-ს მარკის ავტომობილების შეძენა. მერიის ადმინისტრაციის შენობის მშენებლობასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ ამ მიმართულებით თანხა გათვალისწინებული იყო ბიუჯეტის დამტკიცებისას და ამ ეტაპზე, არაფერია დამატებული, ხოლო ის, თუ რა დაჯდება ამ შენობის მშენებლობა, გაირკვევა ტენდერით.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 42

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 1

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

2. „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის 100%-იანი წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „თბილსერვის ჯგუფის“ მიერ გაწეული მომსახურების საფასურის განსაზღვრის შესახებ“ ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 1 ოქტომბრის N64-108 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა შპს „თბილსერვის ჯგუფის“ წარმომადგენელმა ბექა გოგილიძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილი პროექტი ითვალისწინებს ქალაქის მასშტაბით ახალი სანათი წერტილების მოწყობას, რისთვისაც საჭიროა ტარიფის ცვლილება. მიმდინარე ტარიფები დამტკიცებულია 2020 წელს, ხოლო ბაზარზე დღეს არსებული ფასები და ახალი ესკიზების დამატება იწვევს ნორმატიულ ფასებში ცვლილებას.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 42

თავი შეიკავა - 1

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

3. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში M2 კატეგორიის ავტობუსებით რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას შეღავათით მოსარგებლე მოქალაქეთა

მგზავრობის დადგენილი ტარიფის ანაზღაურების შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე დავით ჯაიანმა და განმარტა, რომ წარმოდგენილი პროექტით 2022 ბიუჯეტის შესაბამისი პროგრამით გათვალისწინებული უფასო და შეღავათიანი ტარიფით მოსარგებლე მოქალაქეების თანხის ანაზღაურების საშუალება ეძლევა თბილისის მერიას, კერძოდ, ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს. ახალი სქემის მიხედვით, თანხა შედის სააგენტოში, ხოლო სააგენტო, შესაბამისი ტარიფით, კილომეტრაჟის მიხედვით, გადაუხდის ოპერატორებს.

გიორგი ონიანმა აღნიშნა, რომ საკმაოდ დიდია იმ ადამიანების რიცხვი, რომლებსთვისაც მისაღები არ არის არც ერთი სამგზავრო პაკეტი და დაინტერესდა, განისაზღვრა თუ არა ამ კატეგორიის ადამიანების რაოდენობა და ხომ არ შეიმუშავა მერიამ მათთვის რაიმე კონკრეტული პაკეტი ან შეღავათიანი მგზავრობის ტარიფი.

დავით ჯაიანმა განმარტა, რომ შეღავათიანი მგზავრობით მოსარგებლე ჯგუფების და მგზავრობის დადგენილი ტარიფების მიმართულებით ჯერ არაფერი შეცვლილა, რადგან პრობლემატურია ამ კატეგორიის ადამიანების აღწერა.

გიორგი შარაშიძემ აღნიშნა, რომ კახა კალაძის თქმით, საზოგადოებრივ ტრანსპორტში სამგზავრო აბონემენტით მგზავრობის შემთხვევაში, ერთი მგზავრობის საშუალო დანახარჯი გამოდის 0.32 ლარი და დაინტერესდა, რა სტატისტიკის მიხედვით დათვლას ეფუძნება აღნიშნული განცხადება.

შალვა ოგბაიძემ განმარტა, რომ კახა კალაძის განცხადება ეფუძნება დღის განმავლობაში საშუალოდ მგზავრობის სტატისტიკას. კერძოდ, წლის განმავლობაში დღიური მინიმალური გადაადგილებით სარგებლობის შემთხვევაში, ერთი მგზავრობის საფასური გამოდის 0.32 ლარი, ხოლო იშვიათად სარგებლობის შემთხვევაში, რა თქმა უნდა, აბონემენტის შეძენა მოხანშეწონილი არ არის.

ოთარ გრიგოლიამ განმარტა, რომ ზემოთ ხსენებული ერთჯერადი მგზავრობის საფასურის გამოთვლა ეფუძნება საზოგადოებრივი ტრანსპორტით ყოველდღიურად მოსარგებლე ადამიანების მიერ დახარჯულ თანხას, კერძოდ, დღის განმავლობაში საზოგადოებრივი ტრანსპორტით მგზავრობის საერთო თანხა გაყოფილია ადამიანების საერთო რაოდენობაზე და იქიდან გამომდინარე, რომ გარკვეული კატეგორია სარგებლობს მგზავრობის შეღავათიანი ტარიფით, ხოლო ნაწილი - დადგენილი ტარიფით (1.00 ლარი), ერთჯერადი მგზავრობის საფასური გამოდის 0.32 ლარი.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 42

თავი შეიკავა - 1

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

4. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უსახლკაროდ რეგისტრირებულ პირთა თავშესაფრით/საცხოვრისით უზრუნველყოფის მიზნით, უძრავი ქონების შეძენაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს წარმომადგენელმა მარიამ კვერნაძემ და განმარტა, რომ უსახლკარო პირებისთვის ყოფის შემსუბუქების მიზნით, მუნიციპალიტეტი, პერიოდულად, მათ, სარგებლობის უფლებით, გადასცემს უძრავ ქონებას, რისთვისაც 2022 წლის ბიუჯეტში გამოყოფილია დაახლოებით 5000000 ლარი. აღნიშნული პროექტის ფარგლებში ხორციელდება შედარებით დაბალფასიანი ბინების შესყიდვა და შემდგომ უსახლკარო პირებისთვის გადაცემა. ამ ეტაპზე, წარმოდგენილია განკარგულების

პროექტი, რომლის მიხედვითაც განისაზღვრება ამ პროცესის მიმდინარეობის გარკვეული ჩარჩო, კერძოდ, დგინდება, რომ მუნიციპალიტეტის მიერ შეძენილი უძრავი ქონების 1 კვ.მ.-ს ფასი არ უნდა აღემატებოდეს 750 აშშ დოლარს. ამ ქონებას, შეძენამდე, შეაფასებს ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო, რომლის დასკვნის მიხედვით განისაზღვრულ საბაზრო ღირებულებას 10%-ზე მეტით არ უნდა აღემატებოდეს ამ ქონებაში გადახდილი საფასური. აღსანიშნავია, ასევე, რომ შეძენილი ფართები გადაეცემა ა(ა)იპ თბილისის მუნიციპალიტეტის თავშესაფარს, რომელიც უზრუნველყოფს უსახლკაროების დაკმაყოფილებას.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 42

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 1

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

